585/2
1977

პროლეტარიტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (433)

1977 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 2 (433) თებერვალი 1977 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. კაჭარავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ქობულიას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის თაობაზე

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

16. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

17. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1976 წლის შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკა. ბიბლიოთეკა

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. სალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
22 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 **ამხ. ვ. ი. კაჭარავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვილიამ იაკობის ძე **კაჭარავა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 3 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 **ამხ. გ. ს. ქოგულიას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი სამსონის ძე **ქოგულია** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 **„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონის 55-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ერთ ან რამდენიმე კანონისმიერ მემკვიდრეს საშუალება არ აქვს წარმოადგინოს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონის-

მიერ მემკვიდრედ მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და წარადგინეს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონისმიერ მემკვიდრედ მოსაწვევად".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ 1976 წლის 20 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1977 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 თებერვალი.

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 25 თებერვლის ბრძანებულების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (საქ. სსრ კანონთა კრებული 1930 წ. № 8, მუხ. 70).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ სამთო კოდექსის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1931 წ., № 21, მუხ. 213).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1932 წ., № 19, მუხ. 149).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება სამთო კოდექსის 87-ე მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1933 წ., № 1, მუხ. 9).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ი. ლაშქარაშვილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მონაწილეობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საბჭოთა აქტივის ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის, ამასთან, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და იმ მოთხოვნათა აუცილებელი შესრულება, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

2. საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, სოფლის ყრილობებზე, მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოქალაქეთა კრებებზე რეგულარულად განიხილონ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, შრომის დისციპლინის დაცვისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

3. აღმოფხვრან მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი გულგრილი, ბიუროკრატიული დამოკიდებულების შემთხვევები. დეპუტატე-

ბის, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით უზრუნველყონ მუდმივი კონტროლი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობისადმი.

4. გააფართოონ და განამტკიცონ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მატერიალური ბაზა. უფრო სრულად გამოიყენონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა ქსელის გასაფართოებლად.

5. ფართოდ გაავრცელონ რუსთავის მეტალურგთა თაოსნობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ; უზრუნველყონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება.

6. მიაღწიონ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას; დანერგონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შრომის პროგრესული მეთოდები, აღმოფხვრან მეცხოველეობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

ქმედითი ზომები მიიღონ მეცხოველეობის დარგში დასაქმებული მუშაკების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

7. იბრძოლონ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების გამოვლინებისა და განზოგადებისათვის. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება — რადიო, პრესა, აგრეთვე მატერიალური წახალისების ფორმები.

8. ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მშრომელთა მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები, დეპუტატები და მუდმივი კომისიები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განუხრელად შესრულდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 10 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1976 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით და კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ, საგრძნობლად გააუმჯობესოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. გააქტიურდა საბჭოების დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა, ამაღლდა საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადებისა და ჩატარების დონე; მეტი ყურადღება ექცევა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, საბჭოების საქმიანობის საჯაროობასა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებიდან. დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი სათანადოდ არ არიან მობილიზებული საბჭოების წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად.

ცალკეულ შემთხვევებში აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ დადგენილ ვადებში სესიების მოწვევას, სესიებისათვის საკითხების მომზადებაში დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების აქტიურ მონაწილეობას.

ზოგიერთი მუდმივი კომისია სრულად ვერ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს, იშვიათად შეაქვს საკითხები საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების განსახილველად.

სუსტია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. საჭირო ყურადღება არ ექცევა სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების შერჩევის საკითხს, ხშირია მათი ცვალებადობა. ამასთან, ზოგჯერ აღმასკომების თავმჯდომარეებად ირჩევენ პირებს, რომლებიც არ არიან დეპუტატები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1976 წლის შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასული წლის შედეგები და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად. საბჭოების ორგანიზაციულ-

მასობრივი საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს მეათე ხუთწლედის გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 თებერვალი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალმაშველ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალური რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი ვიქტორ გიორგის ძე **ბაციაშვილი** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს რადიოს ორმოცდაათი წლისა **და** ტელევიზიის ოცი წლის იუბილეს გამო მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებს:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

ლილე გრიგოლის ძე **კილაძეს** — საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ლევან გიორგის ძე **გურულს** — რადიომაუწყებლობის რეჟისორს.

თენგიზ ივანეს ძე **ლომიძეს** — კინოოპერატორს.

ბექარ მიხეილის ძე **მეძმარიაშვილს** — ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რეჟისორს.

ოთარ ისაკის ძე **სეფიაშვილს** — ტელევიზიის კინოგადაცემათა პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

ნუნუ ნიკოლოზის ასულ **გაბუნიას** — საესტრადო ორკესტრის სოლისტს.

გურგენ არკადის ძე **გალუსტოვს** — სიმფონიური ორკესტრის არტისტს.

ირინე ივანეს ასულ **მათიაშვილს** — ტელევიზიის დიქტორს.

ირინე იაკუბის ასულ **რიზაევას** — რადიოს დიქტორს.

დავით სიმონის ძე **სოკოლოვს** — რადიოს დიქტორს.

ციალა ანდრიას ასულ **შუბლაძეს** — რადიოს დიქტორს.

რენე ყაისარის ძე **ჩხაიძეს** — რადიოს დიქტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა

ნოდარ ალექსანდრეს ძე **ბეთანიშვილს** — ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

ლია ნიკოლოზის ასულ **ბუაჩიძეს** — კინოგადაცემათა მთავარი რედაქციის უფროს რედაქტორს.

რევაზ პოლიკარპეს ძე **ზაქარაიას** — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების შტაბის პასუხისმგებელ მდივანს.

აკაკი სამსონის ძე **კობერიძეს** — რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

მედეა ვახტანგის ასულ **ლორთქიფანიძეს** — ტელევიზიის სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა

არკადი ანტონის ძე **ზაქარიაძეს** — რადიოს საკუთარ კორესპონდენტს მახარაძის ზონაში.

იგორ ნიკოლოზის ძე ნაგორნის — კინოოპერატორს.

ქერიმ ყურბანის ძე ქერიმოვს — აზერბაიჯანული რადიოგადაცემების უფროს რედაქტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა

შალვა გიორგის ძე **თანდილაშვილს** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოცენტრის საამქროს უფროსს.

ევგენი ალექსანდრეს ძე **ტარბეევს** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოტელეგადაცემების ცენტრის უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრისა

ბარბარე ივანეს ასულ **გიორგობიანს** — უფროს ბუღალტერ-რევიზორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 12 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს რადიოს ორმოცდაათი და ტელევიზიის ოცი წლის იუბილეს გამო **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები:

გულნარა ნიკოლოზის ასული **არობელიძე** — რადიოს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრამების ჯგუფის მთავარი რედაქტორი.

მარიამ ნიკოლოზის ასული **ბაქრაძე** — ტელევიზიის ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი.

კაპიტონ ნიკოლოზის ძე **გაწერელია** — რადიოს თეატრალური პროგრამების ჯგუფის უფროსი რედაქტორი.

შამილ ლენტოს ძე **გუგკაევი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რადიოკომიტეტის უფროსი რედაქტორი.

ანზორ პეტრეს ძე **ზამბახიძე** — აჭარის ასსრ ტელერადიოკომიტეტის მთავარი რედაქტორი.

ჯიმშერ ვლადიმერის ძე **იაშვილი** — ტელერადიოცენტრის ხმის რეჟისორი.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე **კიკვაძე** — რადიოკომენტატორი.

ლამარა ირაკლის ასული **კიკილაშვილი** — რადიოს დრამატული პროგრამების ჯგუფის რედაქტორი.

თინა პოლიაქტორის ასული **კობალაძე** — რადიოს ლიტერატურული პროგრამების ჯგუფის უფროსი რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტემ აჯირის ძე **მიქვაბია** — აფხაზეთის ასსრ ტელერადიოკომიტეტის განყოფილების გამგე.

მორის ბენიამინის ძე **მირცხულავა** — საქტელერადიოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ოთარ გედეონის ძე **ქუთათელაძე** — ტექნიკის განყოფილების უფროსი.

გივი ნოეს ძე **ჯახუა** — რადიოს საკუთარი კორესპონდენტი რუსთავში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 12 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 ამხ. ვ. ე. სალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ვლადიმერ ერემიას ძე **სალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცხრე ხუთწლედისა და 1976 წლის საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში მიღწეული წარმატებებისა და მომსახურების მაღალი კულტურისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ელექტროსაქონლის სექციის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა;

„თბილმრეწვავჭრობის“ № 1 საჩუქრების მაღაზიის სუვენირების სექციის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა;

„საქრადიოტელემომსახურების“ სამმართველოს ქ. ქუთაისის № 11 ტელეატელიეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა;

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საზკვების ტრესტის კაფე-ბარის „ენძელას“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა;

ცისანა ნიკოლოზის ასული **თავართქილაძე** — ბათუმის მოენწვევაჭრობის № 61 მაღაზიის გამყიდველი;

მზია მიხეილის ასული **ლეგაშვილი** — თელავის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 2 ატელიეს მკერავი;

რუსუდან ომარის ასული **მალაზონია** — მახარაძის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 ატელიეს მკერავი;

ნონა დავითის ასული **ნავაძე** — დუშეთის უნივერმაღის პარფიუმერიის სექციის გამყიდველი;

მედეა სიმონის ასული **ძოწენიძე** — თერჯოლის წიგნის მაღაზიის გამგე-გამყიდველი;

ქეთევან ნიკოლოზის ასული **წიკლაური** — თბილისის უნივერსალური მაღაზია „თბილისის“ გამყიდველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 თებერვალი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 25 თებერვლის სხდომაზე იმსჯელა 1976 წელს შემოსული მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები, უწყებები, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით გარკვეულ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმეს.

ამასთან, რესპუბლიკის ბევრ სამინისტროში, უწყებაში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტები. ყველგან არ არის შექმნილი ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივისცემის ატმოსფერო; ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საჩივრებს, წარმომშობი მიზეზების გამოვლენას და მათ ლიკვიდაციას, მოქალაქეთა აქტივობას და ინიციატივას. ზოგიერთი ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი ღრმად არ წვდება განცხადებებისა და საჩივრების არსს, არღვევს მათი განხილვისათვის დადგენილ ვადებს, ხშირად გაუმართლებლად აყოვნებს ან თავს არიდებს განცხადებებსა და საჩივრებში აღძრული საკითხების გადაწყვეტას და მათზე პასუხის გაცემას; ხოლო ზოგჯერ მოქალაქეთა საჩივრებს უგზავნის იმ პირებს, ვისაც უჩივიან, ან არაკომპეტენტურნი არიან ამ საკითხებში.

ყოველივე ეს მოქალაქეებს აიძულებს დაწერონ განმეორებითი განცხადებები, მიმართონ ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ისეთ საკითხებზეც კი, რომლებიც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ადგილებზე (მაგალითად, საგარეჯოს, მახარაძის რაიაღმასკომები).

არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები განცხადებების და საჩივრების ზერელედ შესწავლის გამო იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს (მაგალითად, ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ქ. თბილისის კალინინის რაიაღმასკომი).

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, სამინისტრო, უწყება, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანო უპასუხისმგებლოდ ეკიდება პრეზიდიუმის მიერ კონტროლზე აყვანილი განცხადებების, საჩივრების განხილვის საქმეს და ზოგჯერ პასუხს დაგვიანებით იძლევა.

მაგალითად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საკონტროლო დავალებით გადაგზავნილი 40 განცხადება-საჩივრიდან 18-ზე ვადის დარღვევით უპასუხა; საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ 12 განცხადება-საჩივრიდან 5-ზე დააგვიანა პასუხის გამოგზავნა. ასევე დაგვიანებით უპასუხეს პრეზიდიუმს სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, გორის, დუშეთის, გარდაბნისა და ცაგერის რაიაღმასკომებმა.

დაგვიანებით გამოგზავნეს პასუხები ცალკეულ განცხადებებზე საქართველოს სსრ მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, სამტრედიის, ქარელის, გალის, ახალციხის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკისა და ქ. თბილისის პროკურატურამ.

მოქალაქეთა წერილების განხილვისა და შესწავლის საქმეში აქტიურად არ მონაწილეობენ დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები, აქტივი და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ მისი განყოფილებები და მისაღები ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის უკეთ მოწყობის, მათი წერილების განხილვისა და მათში აღძრული საკითხების გადაწყვეტის სა-

ქმეში; საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ, რათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დროულად მიიღოს პასუხები კონტროლზე აყვანილ განცხადებებსა და საჩივრებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც სრულყოფენ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მათ წერილებზე მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას; მთელი ეს საქმიანობა წარმართონ სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტების დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად;

უზრუნველყონ მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვა, შემოწმება და დადგენილ ვადებში მათზე პასუხის გაცემა.

მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ პირებს, რომლებიც გულისხმიერებით არ ეკიდებიან განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს. განცხადებების შესწავლასა და მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში ფართოდ ჩააბან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

რეგულარულად შეისწავლონ და თავიანთ სხდომებზე მოისმინონ აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, იზრუნონ არსებულ ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრისათვის. მეტი ყურადღება დაუთმონ იმ მიზეზების გამოვლენას, რომლებიც წარმოშობენ მოქალაქეთა საჩივრებს და მიიღონ ქმედითი ზომები მათი ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ, განყოფილებებმა და მისაღებმა საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მათზე პასუხის გაცემის საქმეს. საჭირო მომთხოვნელობა გამოიჩინონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონტროლზე აყვანილ განცხადებებსა და საჩივრებზე დროულად მიიღოს პასუხი. პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის სისტემატური კონტროლი, რეგულარულად შეამოწმოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად დაევალა გააძლიეროს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა. მოსახლეობაში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისტემატურად ჩაატაროს ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები და სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე; ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე.

*

* *

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა რესპუბლიკაში 1976 წელს მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების საკითხი.

აღინიშნა, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, რესპუბლიკის საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააუმჯობესეს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვის, საბუთების გაფორმებისა და დასაჯილდოებლად დროულად წარდგენის საქმე.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკაში დაჯილდოვდა 3.591 მრავალშვილიანი დედა, რომელთაც შობეს და აღზარდეს ხუთი და მეტი შვილი, რაც დასაჯილდოებელი კონტინგენტის 81,8 პროცენტს შეადგენს. 51 დედას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „გმირი დედის" საპატიო წოდება მიანიჭა.

ამასთან, რესპუბლიკის რიგ საქალაქო და რაიონულ საბჭოებს მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი ადგილობრივი აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და დასაჯილდოებლად დროულად წარდგენის საქმეს. მაგალითად, ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომს დასაჯილდოებლად არ წარმოუდგენია 51 დედა, კასპის რაიაღმასკომს — 42, დმანისის რაიაღმასკომს — 67, მესტიის რაიაღმასკომს — 23 დედა. აბაშის რაისაბჭოს აღმასკომმა წარმოადგინა 7 მრავალშვილიანი დედა, მაშინ, როდესაც რაიონში 20 დედა იყო დასაჯილდოებელი. სიღნაღის რაიაღმასკომმა კი 9 დედიდან არც ერთი არ წარმოადგინა დასაჯილდოებლად.

ქ. თბილისში 1976 წელს დასაჯილდოებელი 263 მრავალშვილიანი დედიდან წარმოადგინეს მხოლოდ 196.

მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები (დმანისი, ბოლნისი, ლაგოდეხი, მესტია, ყვარელი) წლის განმავლობაში აგროვებენ საბუთებს მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების შესახებ და შემდეგ გზავნიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ხშირ შემთხვევებში წარმოდგენილი საბუთები დასაჯილდოებელი დედების შესახებ ზერელედ, უყურადღებოდ არის შევსებული, დამახინჯებულია გვარი, სახელი, შეცდომით არის დაწერილი დაბადების წელი და ა. შ.

საქალაქო და რაიონული საბჭოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მრავალშვილიანი დედების შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხს, სახელმწიფო ფულადი დახმარების დროულად დანიშვნისა და გაცემის საქმეს. იმ მრავალშვილიანი დედების შესახებ, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი და მეტი შვილი და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ცოტა იწერება ადგილობრივ პრესაში, არ ეწყობა რადიოგადაცემები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

უახლოეს პერიოდში განიხილონ მრავალშვილიანი დედების მთავრობის ჯილდოებზე წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებები ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

უზრუნველყონ, რათა მასალები იმ დედების შესახებ, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი და მეტი შვილი უფრო ხშირად ქვეყნდებოდეს ადგილობრივ პრესაში, გადაიცემოდეს რადიოთი. მეტი ყურადღება მიაქციონ მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოების დროულად და საზეიმო ვითარებაში გადაცემას;

მიიღონ ზომები მრავალშვილიანი დედების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად შეამოწმონ თუ როგორ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნები დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, რეაგირების გარეშე არ დატოვონ კანონის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაევალა ადგილებზე მკაცრი კონტროლი დააწესოს იმ მრავალშვილიანი დედების აღრიცხვასა და მთავრობის შესაბამის ჯილდოზე დროულად წარდგენაზე, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი და მეტი შვილი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 245 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისში	8
ქ. ჭიათურაში	18

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბროლაურის	რაიონში	2
ახალქალაქის	„	31
ახმეტის	„	11
ბოლნისის	„	28
გურჯაანის	„	2
დუშეთის	„	4
ზესტაფონის	„	9
ზუგდიდის	„	10
ლანჩხუთის	„	6
ლენტეხის	„	2
მაიაკოვსკის	„	8
მარნეულის	„	49
მესტიის	„	1
მცხეთის	„	5
საგარეჯოს	„	32
ცაგერის	„	3
ცხაკაიას	„	9
წულუკიძის	„	2
ხობის	„	5

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დააჯილდოვა 702 კაცი:

ქ. თბილისის პირველი მაისის	რაიონში	30
„ კალინინის	„	135
„ ორჯონიკიძის	„	112
„ ოქტომბრის	„	33
ქ. ტყიბულში		57
ქ. ქუთაისში		31
ზესტაფონის	რაიონში	31
მაიაკოვსკის	„	13
მესტიის	„	1
მცხეთის	„	55
ლენტეხის	„	1
სამტრედიის	„	65
წალენჯიხის	„	57
წალკის	„	11
ხაშურის	„	70

ა. ბარქაიას სახ. საქ. სსრ საბჭოთაშორისო ბიბლიოთეკა